

ვასო (ვასილ) ბალანჩივაძე

ვასილ ბალანჩივაძე, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, მელიტონ ბალანჩივაძის ძმა, 1870 წელს 24 აპრილს, სოფელ ბანოჯაში დაიბადა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისის რეალურ სასწავლებელში განაგრძო. მხატვრის ნიჭით დაჯილდოებული ვასილ ბალანჩივაძე 1887 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა, მაგრამ სიღარიბის გამო სრული კურსი ვერ დაამთავრა და 1890 წელს თბილისში დაბრუნდა.

ვასილ ბალანჩივაძემ, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, ვასო აბაშიძეს თხოვნით მიმართა, რომ მისთვის „პატარა როლი“ მიეცა და პირველად. 1891 წელს ქუთაისის სცენაზე მოლიერის „სკაპენის ოინებში“ კარლოსის როლი ითამაშა. შესრულების ინდივიდუალურმა მანერამ იგი მალევე ყველასთვის საყვარელ მსახიობად აქცია. 1894 წელს ქუთაისის თეატრი დაინვა და ვასო აბაშიძე თბილისში დაბრუნდა. უთეატროდ დარჩენილმა ახალგაზრდებმა, რომელთა შორის ვასო ბალანჩივაძეც იყო, მსახიობთა ამხანაგობა შეადგინეს და წარმოდგენებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მართავდნენ. სწორედ ამის შემდეგ, ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, ჩაეყარა საფუძველი ქუთაისის მუდმივმოქმედი თეატრის შექმნას.

1904 წელს ვასილ ბალანჩივაძე კვლავ სამხატვრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მიემგზავრება, მაგრამ მალე უკან ბრუნდება და კლასიკურ გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად განაგრძობს მუშაობას. პარალელურად, 1906-1921 წლებში მოღვაწეობდა თბილისის, ჭიათურის, ბათუმისა და ფოთის თეატრებში.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მთვარობის განკარგულებით, ვასილ ბალანჩივაძე ქუთაისის თეატრის გამგედ და დასის ხელმძღვანელად დანიშნეს.

1922 წელს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს და საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს. 1924 წელს ვასო ბალანჩივაძე საცხოვრებლად თბილისში გადადის და უნივერსიტეტის დრამწრეს ხელმძღვანელობს.

1925-26 წწ. ჯანმრთელობის კომისარიატის სანკულტურის თეატრში იწყებს მუშაობას მსახიობად და თეატრის მთავარ რეჟისორად. 1930-1936 წწ. მიწვეული იყო სხვადასხვა თეატრებში დრამატული წრეების ხელმძღვანელად, ხოლო 1935-1942 წლებში „სახკინმრენვის“ მსახიობია.

ვასო ბალანჩივაძე განსაკუთრებული წარმატებით კომიკურ როლებს ასრულებდა, თუმცა არც დრამატული როლებით იყო მაყურებელი უკმაყოფილო. დიდი ოსტატობით ასახიერებდა იმერელ ტიპაჟებს. ამიტომაც შეარქვეს „ქართული სცენის გენიალური იმერელი“. სცენაზე, ყოველი მისი გამოსვლა მაყურებლის დიდ აღტაცებას იწვევდა. ლადო მესხიშვილი მის შესახებ წერდა: „ჩემს დასში ერთადერთი მსახიობი ვასო ბალანჩივაძეა, რომელიც დრამაში აცრემლებს საზოგადოებას, კომედიაში ამხიარულებს და ვოდვეილში მაყურებლის სიცილ-ხარხარს საზღვარი არა აქვს“. შეუდარებელი იყო მისი ფილიპესა და დარისპანის სახეები, დ. კლდიაშვილის პიესებში „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“. ვასილ ბალანჩივაძეს არტისტული მოღვაწეობის პერიოდში ხუთასამდე როლი აქვს შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია: სვიმონ ლეონიძე (დ. ერისთავის „სამშობლო“), ოტია ჯოლია (ვ. გუნიას „და-ძმა“), შმაგა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), დობჩინსკი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), პოლონიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“) და სხვა მრავალი.

ვასო ბალანჩივაძის პიესები წლების განმავლობაში იდგმებოდა ქართულს სცენაზე. მათ შორის აღსანიშნავია: „1905 წელი“, „გლეხი ივლიანე გობჯია“, „უბედური დღე“, „კუდიანი ვარსკვლავი“, „აჭარელი ქალი ფატიმა“, „დიდება მებრძოლს“, „მზის სხივები“ და სხვა. დიდია მისი ღვაწლი ქართული ესტრადის განვითარებაშიც და იუმორისტული (იმერული) სცენების კითხვის უბადლო ოსტატად ითვლებოდა. ასევე საინტერესოა მისი მოღვაწეობა ქართულ კინოშიც, სადაც შემდეგი სახეები შექმნა: ბაბუა ანტონი („დაკარგული სამოთხე“),

ოსმანა („ქალი გალმიდან“), გლეხი („გიორგი სააკაძე“), სარდიონი („ქალი მწვანეში“) და სხვა.

1950 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.
ვ. ბალანჩივაძე 1951 წლის 18 მაისს გარდაიცვალა.

ვასო (ვასილ) ბალანჩივაძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ქართული დრამატული საზოგადოების დასის შეტყობინება ვასილ ბალანჩივაძისადმი, მისი დასში ჩარიცხვის შესახებ.

1902 წ. 5 ივლისი. დასტამბული. შევსებული ხელით. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯ. – ნ. ქართველიშვილი, მდივანი – გ. რცხილაძე. 1 გვ.

2. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის შეტყობინება ვასილ ბალანჩივაძისადმი, სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში გამართულ წარმოდგენებში მისი მონაწილეობის მიღების შესახებ.

1902 წ. 21 აგვისტო. ბლანკი. ხელნაწერი ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი. მდივანი – გ. რცხილაძე, ბ. რცხილაძე. შავი მელანი. რესტავრირებული. 1 გვ.

3. ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის შეტყობინება ვასილ ბალანჩივაძისადმი, გამგეობის კრებაზე დასწრების შესახებ.

1910 წ. 3 ივნისი. დასტამბული. შევსებული ხელით. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდ. – მ. ანჯაფარიძე, მდივანი – ავალიშვილი. შავი მელანი. 1 გვ.

4. სახალხო განათლების განყოფილების მიერ გაცემული მოწმობა ვასილ ბალანჩივაძის სახელზე, რომ იგი ნამდვილად არის სახ. თეატრის გამგე.

1921 წ. 16 დეკემბერი. ქუთაისი. ბლანკი. ნაბეჭდი ხელს აწერს: განათ. განყ. გამგე. მდივანი – (გვარები არ იკითხება). 1 გვ.

5. ქუთაისის რევკომის სახალხო განათლების განყოფილების მიერ გაცემული ცნობა ვასილ ბალანჩივაძისადმი, ქუთაისის თეატრში 1921-22 წწ. სეზონის მთავარ ხელმძღვანელად დანიშნვისა და დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესახებ.

1922 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ქუთ. განყ. გამგე – (გვარები არ იკითხება). ბეჭედდასმული. 1 გვ.

6. ვასილ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი ანგარიში სანიტარული განათლების თეატრში გამართული წარმოდგენების შესახებ.

1925 წ. 1 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

7. ვასილ ბალანჩივაძის მოწმობა გაცემული საქ. სსრ. სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების მიერ, მასზედ, რომ იგი არის რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი.

1927 წ. 30 აპრილი. ნაბეჭდი. ასლი დამონმებული დედანთან. ხელს აწერენ: ხელოვნ. განყ. გამგ. მოადგ – დადიანი, განყ. მდივ. – ხატიაშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

8. დიდი-ჯიხაიშის თემის აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა ხელოვნების კავშირისადმი, ვასილ ბალანჩივაძის მიერ დიდი ჯიხაიშის თემში დადგმული წარმოდგენების შესახებ.

1927 წ. 12 ივნისი. დიდი-ჯიხაიში. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: აღმასკომის თავმჯ. (გვარი არ იკითხება). მდივანი – ჩხეიძე. მელანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

9. საქართველოს მომხმარებელ ორგანიზაციათა ცენტრალური კოოპერატიული კავშირი „ცეკავშირის“ ცნობა გაცემული ვასილ ბალანჩივაძის სახელზე, რომ იგი ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებისაგან მიწვეულ იყო მოგზაურთა სააგიტაციო ქართული დასის ხელმძღვანელად 1928 წლიდან 1929 წლამდე და თვეში ლეზულობდა ჯამაგირს სამას მანეთს.

1929 წ. 27 თებერვალი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საორგ. განყ. გამგ. და საქ. მმართ. (გვარები არ იკითხება). ბეჭედდასმული. 1 გვ.

10. საქ. სსრ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ გაცემული ცნობა ვასილ ბალანჩივაძის სახელზე. სანიტარული განათლების დასის რეჟისორად მიწვევის შესახებ.

1929 წ. 14 ივნისი. ტფილისი. ბლანკი. დასტამბული. ხელს აწერს: განყ. გამგე – ს. ჩხიკვიშ-

ვილი, კოლეგიის წევრი – ფრანგიშვილი, კანც. გამგე – გიორგობიანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

11. საქართველოს მომხმარებელ ორგანიზაციათა ცენტრალური კოოპერატიული კავშირი „ცეკავშირის“ შეტყობინება ყველა მომხმარებელ კოოპერატიულ ორგანიზაციებში-სადმი. ატყობინებენ, რომ ვინაიდან ცეკავშირის მოძრავე დასის რწმუნებული არის ვასილ ბალანჩივაძე და მას დავალებული აქვს კოოპერატიული შინაარსის წარმოდგენების დადგმა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სთხოვენ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება.

1929 წ. 14 იანვარი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: გამგეობა, საორგ. განყ. გამგე: კულტ. განყ. გამგე (გვარები არ იკითხება). ბეჭედდასმული. 1 გვ.

12. ს. ორჯონიკიძის სახ. ცენტრალური პარტიული სკოლის ცნობა გაცემული ვასილ ბალანჩივაძის სახელზე, რომ იგი ნამდვილად იყო ცენტრალური პარტიული სკოლის დრამატული წრის ხელმძღვანელი და თვეში ლეზულობდა ჯამაგირს 50 მანეთს.

1929 წ. 25 ივნისი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მდივანი – რაზმაძე, პო-ლოსოვი.

ბეჭედდასმული. 1 გვ.

13. ქუთაისის მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილების მოწმობა, რომ ვასილ ბალანჩივაძე ნამდვილად მსახურობდა ქუთაისის აკადემიური თეატრის გამგედ 1921 წლიდან 1922 წლამდე და თვითურად ლეზუ-ლობდა ჯამაგირს 140 მანეთს.

1929 წ. 9 ივლისი. ქუთაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: განთ. განყ. გამგ. მოადგ. – ვ. იმნაძე, პოლიტგან. განყ. გამგ. მოვალ. შემს. – ლ. ქემხაძე, საქმის მწარმოებელი – შ. ასათიანი. 1 გვ.

14. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა ვასილ ბალანჩივაძის სახელზე, რომ ის 1923 წლიდან 1924 წლამდე ნამდვილად იყო დრამატული წრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

1929 წ. 3 ივლისი. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ორი ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტსაგანმანათლებ-ლო განყოფილების მდივან პოლოსოვის მიმართვა ბოკუჩავასადმი – ვასილ ბალანჩივაძის განცხადების განხილვის შესახებ.

1937 წ. 19 აგვისტო. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კულტსაგან. განყ. მდივანი – პოლოსოვი. ადევს ორი რეზოლუცია. რუსულ ენაზე. 1 გვ.

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა ხე-ლოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, ვასილ ბალანჩივაძის განცხადების კომისიაზე გან-სახილველად გატანის შესახებ.

1937 წ. 8 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სსრ. საქ. ცენტრ. აღ-მასრ. კომიტ. მდივნის მოვალ. აღმსრ. – გ. გორჩაშვილი. 1 გვ.

17. შუამდგომლობა გაცემული საქართველოს კინო-ფოტო მუშაკთა კავშირის „სახკინმრეწვის“ ფაბკომის მიერ ხელოვნების საქმეთა კომიტეტისადმი, ვასილ ბალანჩივა-ძისათვის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.

1938 წ. 26 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: „სახკინმრეწვის“ ფაბ-კომის თავმჯდომარე – კანდელაკი, მდივანი – ჟაგინოვა. რუსულ ენაზე. 2 გვ.

18. ხელოვნების მუშაკთა დირექციის თხოვნა ვასილ ბალანჩივაძისადმი. ლადო მესხ-იშვილის ხსოვნის საღამოზე მონაწილეობის მიღების შესახებ.

1938 წ. 15 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: დირექტორი – გრ. კოკელაძე. 1 გვ.

19. ვასილ ბალანჩივაძის პერსონალური პენსიის წიგნაკი. 1927 წლიდან 1940 წლამდე აღებული პენსიის (225 მან.) შესახებ. ახლავს ფოტოსურათი.

1938 წ. 27 აპრილი. დასტამბული. შევსებული ხელით. ბეჭედდასმული. 35 გვ.

20. ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექციის შეტყობინება ვასილ ბალანჩივაძისადმი. მაკო საფაროვა-აბაშიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილე-

ობის მიღების შესახებ.

1940 წ. 31 მარტი. თბილისი. ბლანკი. ხელს აწერენ: საქ. ხელ. მუშაკ. პროფკ. რესპ. კომიტ. თავმჯ – ივ. გვინჩიძე. ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორი – ივ. მათიაშვილი. 1 გვ.

21. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შეტყობინება ვასილ ბალანჩივაძისადმი, კადრების სააღრიცხვო ფურცლის შევსებისა და ავტობიოგრაფიის დანერის შესახებ.

1940 წ. 16 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კადრების განყოფილების ინსპექტორი – ვ. ბალკანსკაია. მეორე გვერდზე აქვს სხვადასხვა მინაწერები და ჩანახატები. 1 გვ.

22. ვასილ ბალანჩივაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1940 წ. 26 ოქტომბერი. დასტამბული. შევსებული ხელით. 4 გვ.

23. ვასილ ბალანჩივაძის ავტობიოგრაფია.

1940 წ. 26 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

24. ვასილ ბალანჩივაძის ავტობიოგრაფია.

1940 წ. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

25. ცხაკაიას სახ. თეატრის ხელმძღვანელის შ. მჟავანეძესა და ვასილ ბალანჩივაძეს შორის დადებული ხელშეკრულება, ვასილ ბალანჩივაძის პიესის „მოლოდინში“ შესყიდვის შესახებ.

1941 წ. 7 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: შ. მჟავანეძე, ვ. ბალანჩივაძე. მელანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

26. ვასილ ბალანჩივაძის ავტობიოგრაფია.

1943 წ. 26 იანვარი. ავტოგრაფი. 3 გვ.

27. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა ვასილ ბალანჩივაძის სახელზე, დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.

1943 წ. 10 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. შევსებული ხელით. ხელს აწერენ: ხელ. საქ. სამმ. უფრ. მოადგ – პ. კანდელაკი. კადრების განყ. ინსპ – ვ. ბალანსკაია. ბეჭედდასმული. 1 გვ.

28. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მინდობილობა გაცემული ვასილ ბალანჩივაძის სახელზე, სამრეწველო საქონლის მიღებასთან დაკავშირებით.

1944 წ. 1 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კადრების განყოფილების გამგე – ვ. ბალკანსკაია. შავი მელანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

29. ამონაწერი ბრძანებიდან ვასილ ბალანჩივაძის ზესტაფონში მივლინების შესახებ.

1944 წ. 17 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი დამონმებული დედანთან. ხელს აწერს: კინოსტუდიის დირექტორი – მაჭავარიანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

30. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაცემული დროებითი მონმობა ვასილ ბალანჩივაძის სახელზე.

1945 წ. 9 ნოემბერი. დასტამბული შევსებული ხელით. ხელს აწერენ: საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე – აკ. ხორავა, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი – სერ. გერსამია. ბეჭედდასმული. 1 გვ.

31. საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეტყობინება ვასილ ბალანჩივაძისადმი. ვალერიან შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 30 წლის აღსანიშნავ ხსოვნის საღამოზე მისი მონაწილეობის მიღების შესახებ.

1949 წ. 6 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ხელს აწერს: საქ. საზ. პასუხ. მდივანი – ს. მთვარაძე. 1 გვ.

32. ახალციხეში მყოფი ვასილ ბალანჩივაძის მინდობილობა შვილის ქეთევან ბალანჩივაძისადმი, კუთვნილი ფულის აღებასთან დაკავშირებით.

1949 წ. 26 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ა. სიგავეი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ორი ეგზემპლარი. 2 გვ.

33. ბრძანება საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს. ბ. ლ. კავსადისა და ვ. ა. ბალანჩივადის დაკრძალვასთან დაკავშირებით.
პირი: გ. ბუხნიკაშვილი, ს. მთვარაძე, გ. თევდორაძე.
1951 წ. 21 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი – ი. დოლიძე. ასლი დამონებულ დედანთან (ახლავს ნეკროლოგი). ბეჭედდასმული. 1 გვ.

34. სათეატრო მუზეუმის შეტყობინება ვასილ ბალანჩივადისადმი, ლადო მესხიშვილის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მონაწილეობის მიღების შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: სათეატრო მუზეუმის დირექტორი – გ. ბუხნიკაშვილი. 1 გვ.

35. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის ცნობა გაცემული ვასილ ბალანჩივადის სახელზე, პიესა „საძმოს საფლავზე“ სარეპერტუარო განყოფილებისთვის გადაცემის შესახებ.
უთარილო. ბლანკი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. ხელს აწერს: სარეპერტუარო სექტ. მდივანი – შესტაკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

36. ვასილ ბალანჩივადის საშელავათო წიგნაკი.
უთარილო. ხელს აწერენ: სახალხო კომისარი და განყოფილების გამგე (გვარები არ იკითხება). ახლავს ფოტოსურათი. ბეჭედდასმული. დასტამბული. 1 გვ.

37. ვასილ ბალანჩივადის განცხადება საქ. ცკ. მდივან კანდიდ ჩარკვიანისადმი, ბინის პირობების გაუმჯობესებისა და სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

38. ვასილ ბალანჩივადის მიერ შედგენილი საქართველოს ჯანმრთელობის კომისარი-ატის სანიტარული განათლების ქართული დრამატული დასის მოქმედების ანგარიში.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

39. ვასილ ბალანჩივადის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. 5 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

პიესები, ლექსები, სკეტჩები

40. ვასილ ბალანჩივადის დრამატული ეტიუდი „სიყვარულის მსხვერპლი“ (ავტორის ჩასწორებებით).
1892 წ. მელანი. დაზიანებული. ავტოგრაფი. 19 გვ.

41. ვასილ ბალანჩივადის მიერ დაწერილი ლექსი ქობულეთში ყოფნის დროს.
1927 წ. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

42. ვასილ ბალანჩივადის კომედია – „პენსიის მაძიებელი“. ორ სურათად.
1938 წ. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. ქართულ და რუსულ ენებზე. ერთი რვეული. 36 გვ.

43. ვასილ ბალანჩივადის პიესა „ახალი სხივი“ – სამ მოქმედებად.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 25 გვ.

44. ვასილ ბალანჩივადის ლექსი – „ამერიკელი ძიას გლოვა“.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

45. ვასილ ბალანჩივადის მიერ დაწერილი ლექსი ხონში ყოფნის დროს.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

46. ვასილ ბალანჩივადის მიერ დაწერილი სკეტჩი იმერეთის ცხოვრებიდან.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

47. ვასილ ბალანჩივაძის მიერ დაწერილი სკეტჩი მისი მეგობრის დათიკო ანწყურელისათვის.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.

48. ვასილ ბალანჩივაძის მეგობრული შარში ანთაძესა და კანდელაკზე.

უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.

49. ვასილ ბალანჩივაძის ვოდვეილი „ელიკო“ ერთ მოქმედებად.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 13 გვ.

50. ვასილ ბალანჩივაძის სამ მოქმედებიანი ვოდვეილი „გლეხის ოჯახი“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი, მფანქარი. დაზიანებული. 39 გვ.

51. ვასილ ბალანჩივაძის ეტიუდი „უკანონოდ შობილი“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 20 გვ.

52. ვასილ ბალანჩივაძის უსათაურო პიესა (ავტორის ჩასწორებებით).

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 26 გვ.

53. ვასილ ბალანჩივაძის მიერ დივერტისმენტზე წასაკითხად შედგენილი სიტყვა-ნაწყვეტი „ირინეს ბედნიერებიდან“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.

სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებული მასალა

54. ქართული დრამატული დასის მიერ საშრობის ქალაქებზე მხატვრულად გაფორმებული ვასო ბალანჩივაძის საბენეფისოდ წარმოდგენილი საღამოს პროგრამა.

1910 წ. დასტამბული. 1 ც.

55. „ხელოვნების ტაძრის“ მუშების მისალოცი სიტყვა ვასილ ბალანჩივაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 4 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

56. ქუთაისის რუსული დრამატული დასის მილოცვა ვასილ ბალანჩივაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 4 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

57. ქუთაისის „ქართული სცენის მსახიობთა კავშირის“ მისალოცი სიტყვა ვასილ ბალანჩივაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 4 ივნისი. ხელნაწერი. მელანი 1 გვ.

58. საბჭოთა აჭარის პირველი ქართული ამხანაგობის აკადემიური ორკესტრის მისალოცი სიტყვა ვასილ ბალანჩივაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 4 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ადგილკომის თავმჯდომარე – ტერენტი ხავთასი. ადგილკომის წევრები (გვარები არ იკითხება). მელანი. დაზიანებული. ბეჭედ-დასმული. 1 გვ.

59. ცნობა გაცემული სახალხო განათლების კომისარის სახელზე. ვასილ ბალანჩივაძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით და მისთვის დახმარების განევის შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

60. „ქართველ მსახიობთა კავშირის“ მილოცვა ვასილ ბალანჩივაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

პიესების და როლები

61. სავარაუდოდ, „მთავლიტში“ ცენზურის მიზნით შესულ პიესათა აღწერის ბარათი.
1930 წ. 19 მაისი. დასტამბული. ხელნაწერი. ხელს აწერს: გ. მდივანი. 2 ც.
62. ვასილ ბალანჩივადის მიერ კინოფილმებში შესრულებული როლების სია. ფანქარი.
1935 წ. ავტოგრაფი. 2 გვ.
63. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში ჩატარებული ვასო ბალანჩივადის შემოქმედებითი სალამოს სტენოგრამა.
პირი: შალვა დადიანი, ნინო ბალანჩივაძე, ს. მთვარაძე, ს. გერსამია, ვ. არაბიძე, მ. ღვინიაშვილი, ე. დავითაია, კ. განერელია, ნ. კველიშვილი და სხვ.
1951 წ. 18 იანვარი. ასლი დამონმებული დედანთან. ხელს აწერს: თავმჯდომარე – შ. დადიანი, მდივანი – ნ. კველიშვილი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. 33 გვ.
64. ვასილ ბალანჩივადის სტატია – „კოლმეურნეების ქორწინებიდან“.
უთარილო. ნაბეჭდი. 5 გვ.
65. ვასილ ბალანჩივადის მიერ შედგენილი ქართული თეატრის უმუშევარ მსახიობთა კოლექტივის მუშაობის გეგმა (მეორე გვერდზე სხვადასხვა ჩანაწერებით).
პირი: ლიზა ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, არეთა ლოლუა, ელენა აბაზაძე, ვ. გუნია, ვიქ. გამყრელიძე და სხვ.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი, ფანქარი. 2 გვ.
66. ვასილ ბალანჩივადის ფრაგმენტული ხასითის ჩანაწერები სხვადასხვა პიესებიდან.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 50 გვ.

მოგონებები

67. ვასილ ბალანჩივადის მოგონებები ლადო მესხიშვილზე.
1938 წ. 2 მარტი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 12 გვ.
68. ვასილ ბალანჩივადის მოგონება ქუთაისის ხარაზიშვილის თეატრში სცენისმოყვარეთა წარმოდგენების შესახებ.
პირი: ეფრო კლდიაშვილი, ი. ფერაძე, მაშო კლდიაშვილი, ნიკო მალრაძე, ვარლამ გაბიჩვაძე, სამსონ ყიფიანი და სხვა.
1938 წ. 10 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
69. ვასილ ბალანჩივადის მოგონებები – „ჩემი მოგონებებიდან“ (ავტორის ჩასწორებულით).
1938 წ. 30 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 46 გვ.
70. ვასილ ბალანჩივადის მოგონებები – „ჩემი მოგონებებიდან“ (ახლავს სათეატრო მუზეუმის სწავლული მდივნის სერგო გერსამიას რეცენზია მისივე ხელმოწერით).
1949 წ. 1 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 88 გვ.
71. ანა ბალანჩივაძე-ჭავჭავაძის (ვასოს დის) მოგონებები ვასილ ბალანჩივაძეზე.
1956 წ. 15 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. 9 გვ.
72. ვასილ ბალანჩივადის მოგონება ლადო მესხიშვილზე.
უთარილო. ნაბეჭდი. 10 გვ.

პროგრამები

73. ვასილ ბალანჩივადის საბენეფისოდ წარმოდგენილი სალამოს პროგრამა.
1900 წ. 2 თებერვალი. დასტამბული. 2 გვ.
74. ქუთაისში წარმოდგენილი ვასილ ბალანჩივადის პიესის „ცხრა იანვარი 1905 წ.“ სპექტაკლის პროგრამა.

1918 წ. დაზიანებული. დასტამბული. 1 ც.

75. ვასილ ბალანჩივაძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის საიუბილეო საღამოს პროგრამა.

1922 წ. დასტამბული. 6 ეგზ. 16 გვ.

76. ვასილ ბალანჩივაძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებული საღამოს მცირე ზომის პროგრამა.

1922 წ. დასტამბული. 1 გვ.

77. ქობულეთის მუშათა და გლეხთა ახალი კლუბის გახსნისადმი მიძღვნილი საღამოს პროგრამა.

1926 წ. 11 სექტემბერი. დასტამბული. 1 გვ.

78. ვასილ ბალანჩივაძის საბენეფისოდ წარმოდგენილი საღამოს პროგრამა. უთარილო. დასტამბული. 4 გვ.

ჯანსოღარული მემკვიდრეობა

ვასილ ბალანჩივაძის წერილები

79. ვასილ ბალანჩივაძის წერილი ხელოვნების სამმართველოს კომიტეტის თავმჯდომარის ბორისისადმი (გვარი უცნობია). სთხოვს შუამდგომლობას მისთვის სახალხო არტისტის ნოდების მინიჭების შესახებ.

1937 წ. 19 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

80. ვასილ ბალანჩივაძის საახალწლო მილოცვა მეგობარ ლეოსადმი.

1950 წ. 1 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

81. ვასილ ბალანჩივაძის წერილი მიხასადმი. წერს ჟურნალ „ემმაკში“ მისი მასალებისა და სურათების დაბეჭდვის შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

წერილები ვასილ ბალანჩივაძისადმი

82. ვალერიან გუნიას პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი.

1902 წ. 31 აგვისტო. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.

83. ვალერიან გუნიას პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი.

1902 წ. 24 სექტემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

84. ლადო ალექსი-მესხიშვილის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი, დაწერილი თავისივე სავიზიტო ბარათზე.

1903 წ. 12 იანვარი. დასტამბული. ხელნაწერი. 2 გვ.

85. ლადო მესხიშვილის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. ბოდიშს უხდის შემოთავაზებულ სპექტაკლში, დროის უქონლობის გამო, მონაწილეობის ვერ მიღებისთვის.

პირი: გიორგი, მიხაკო, შალვა.

1909 წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

86. მიხეილ გაჩეჩილაძის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი.

1911 წ. ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

87. ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი, ილია ჭავჭავაძის საღამოს მოწყობაში დახმარების განევის შესახებ.

პირი: ილ. ჟღენტი.

1912 წ. 9 ნოემბერი. ქუთაისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: ი. ოცხელი. ბლანკი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

88. ივანე პურადაშვილის წერილი თეატრალურ და მხატვრული სექციის გამგეობისად-

მი, ბალანჩივაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს მოწეობის შესახებ.
1922 წ. 25 აპრილი. ქუთაისი. ნაბეჭდი. ივანე პურადაშვილის ხელმოწერით. 2 გვ.

89. ელისაბედ ჩერქეზიშვილის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი.
1925 წ. 8 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

90. ე. კშონდზერის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. ატყობინებს, რომ ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში მისთვის დანიშნულია სპექტაკლი „იულიანე გობერია“ და სთხოვს მისვალს.
1925 წ. 18 ნოემბერი. ხელნაწერი. წითელი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

91. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შ. მჭავანაძის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. მისი პიესის „მოლოდინი“ გაგზავნის შესახებ.
1941 წ. 27 აპრილი. ბლანკი. ხელნაწერი. შ. მჭავანაძის ხელმოწერით. 1 გვ.

92. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შ. მჭავანაძის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. მადლობას უხდის პიესის „მოლოდინი“ გაგზავნისათვის და სთხოვს ხელშეკრულების გაფორმებას.
1941 წ. 13. მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

93. ვასილ ბალანჩივაძის მამის – ანტონ ბალანჩივაძის პირადი ხასიათის წერილები შვილისადმი. წერს თავისი ავადმყოფობის შესახებ, ბოდიშს უხდის სიღარიბის გამო, რომ ვერ ეხმარება ფულით, ამიტომ სთხოვს პატიებასა და მოთმინებას.
პირი: ივლიანე წერეთელი, მიშა ქუთათელაძე, ილია კიკნაველიძე, სოფრომ ლექვინაძე, ალექსი თუთბერიძე, აპოლონი, ნინა, გაიანე (ვ. ბალანჩივაძის და), ვანო, ანიჩკა, კატო, გიორგი, მელიტონი (ვ. ბალანჩივაძის ძმა), ალექსანდრე. აკინძული წიგნად.
უთარილო. ხელნაწერი. 227 გვ.

94. ვალერიან გუნიას წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს დახმარებას კოსტუმების შოვნაში, რომ უმუშევართა სასარგებლოდ გამართულ სპექტაკლში „და-ძმაში“ მიიღოს მონაწილეობა.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი 2 გვ.

95. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შ. მჭავანაძის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. ბოდიშს უხდის მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევის გამო და პიესა „მოლოდინის“ ანაზღაურების დროებით შეჩერებისთვის.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი 2 გვ.

96. ნუცა ჩხეიძის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. ულოცავს ალდგომის დღესასწაულს.
უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.

97. შალვა დადიანის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი, პიესების დამტკიცებისა და მისი გასტროლების შესახებ.
უთარილო. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

98. მამის (ანტონ ბალანჩივაძე), ძმისა (ვანო ბალანჩივაძე) და მეგობრების – ილარიონ ქელბაქიანი, ი. ვ. მეფარიძე, ირაკლი, ივანე – პირადი ხასიათის წერილები ვასილ ბალანჩივაძისადმი.
პირი: ილარიონ ქელბაქიანი, ი. ვ. მეფარიძე, ირაკლი, ივლიტე, ონისიმე.
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 113 გვ.

99. ნატო გაბუნია-ცაგარელის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს თავის საბენეფისოდ გამართულ სალამოზე დარისპანის როლის შესრულებას.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

100. ნატო გაბუნია-ცაგარელის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

101. ნატო გაბუნია-ცაგარელის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.

102. უცნობი ავტორის პირადი ხასიათის წერილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. პირი: კოლია გვარაძე, ჯაგაბეგოვი, შურა, ჟანა, ნატაშა. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 2 გვ.

ბარათები

ღია ბარათები ვასილ ბალანჩივაძეს

103. ვასილ ბალანჩივაძის საბენეფისო საღამოსათვის მიძღვნილი ღია ბარათი ამხანაგებისაგან (გვარები არ არის მითითებული). 1907 წ. 6 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

104. ნატო გაბუნია-ცაგარელის პირადი ხასიათის ღია ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი. 1908 წ. 12 იანვარი. ქუთაისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

105. ვალერიან გუნიას პირადი ხასიათის ღია ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი. 1908 წ. 24 სექტემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

106. კოტე ყიფიანის ღია ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს გაუგზავნოს ნინო ყიფიანის მიერ თარგმნილი პიესა კ. ბრისტის „ავი სენი“. 1908 წ. 10 ნოემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

107. ვასო აბაშიძის პირადი ხასიათის ღია ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი. 1908 წ. 31 დეკემბერი. ქუთაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

108. სანდრო შანშიაშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი. 1915 წ. 27 ივნისი. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

109. ნიკოლოზ (კოლია) გოძიაშვილის საფოსტო ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი, რეპერტუარში მისი პიესის შეტანის შესახებ. პირი: თეიმურაზი. 1941 წ. 18 იანვარი. ქუთაისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

110. ივანე პურადაშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

111. კოტე ყიფიანის პირადი ხასიათის ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი (სავიზიტო ბარათი). უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

მოსანვევი ბარათები ვასილ ბალანჩივაძეს

112. სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული მოსანვევი ბარათი ვასილ ბალანჩივაძისადმი, ხალხურ სანახაობათა გამოფენაზე დასასწრებად. 1938 წ. 12 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. 2 გვ.

113. მოსანვევი ბარათი ვ. ბალანჩივაძისადმი, გაგზავნილი კოტე ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე დასასწრებად (1846–1921 წწ). 1941 წ. 21 აპრილი. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. 2 გვ.

114. ვასილ ბალანჩივაძის სახელზე გაცემული მოსანვევი ბარათი, რუსთაველის თეატრში პიესა „კრწანისის გმირების“ დახურულ წარმოდგენაზე დასასწრებად. 1943 წ. 6 ოქტომბერი. დასტამბული. 2 გვ.

115. საქ. სრ. ახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოსაწვევი ბარათი ვასილ ბალანჩივადისადმი, აფხაზეთის ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტზე დასასწრებად.

უთარილო. დაზიანებული. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

116. ლადო მესხიშვილის სავიზიტო ბარათი.

1906. დასტამბული. შევსებული ხელით. 2 გვ.

ვასილ ბალანჩივადის სხვადასხვა სახის ჩანაწერები

117. ვასილ ბალანჩივადის ჩანაწერები მისი ქუთაისიდან თბილისში საცხოვრებლად გადასვლის შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

118. ვასილ ბალანჩივადის იუმორისტული ჩანაწერები თბილისიდან ქობულეთამდე მგზავრობის დროს.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.

119. ვასილ ბალანჩივადის იუმორისტული ჩანაწერები – „წყალნაღებული მაგრამ მართალი – ტფილისიდან ხონამდე“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.

120. ვასილ ბალანჩივადის ჩანაწერები – „სცენა გაგრაში დაწერილი“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

სხვადასხვა

121. ვასილ ბალანჩივადისთვის ქუთაისში გაგზავნილი ფულის ცარიელი კონვერტი.

1896 წ. 11. ნოემბერი. ადევს ხუთი ლუქი.

122. მოსკოვის ინჟინერთა და პედაგოგთა სასწავლებლის დირექტორის პასუხი ვასილ ბალანჩივადის დეპეშაზე, შვილის ირაკლი ბალანჩივადის სასწავლებლიდან ერთი თვით გათავისუფლების შესახებ.

1915 წ. 24 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

123. შალვა დადიანის დეპეშა ვასილ ბალანჩივადისადმი, მისი ქუთაისის ქართული დასის მთავარ ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.

პირი: ცაცა ამირეჯიბი, ნინო მაჭავარიანი, დიკა ლოლობერიძე და სხვ.

1921 წ. 25 ოქტომბერი. ტფილისი. დასტამბული. ხელს აწერს: სათეატრო მუზეუმის გამგე – შალვა დადიანი. 2 გვ.

124. ქუთაისის სახელმწიფო დრამატული დასის „მერცხალის“ წევრის, იზმაილ გაბუნიას ლექსი მიძღვნილი ვასილ ბალანჩივადისადმი, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 18 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

125. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ საიუბილეო კომიტეტი ვ. ბალანჩივადეს აცნობებს, რომ იგი დანიშნულია საიუბილეო საღამოსთვის „ალების ცეკვის“ დადგმის რეჟისორად.

პირი: ვასო აბაშიძე, სეით დევდარიანი, ვარლამ ძიძიგური, ეფ. მესხი, გ. ბოკერია, ქ. ანდრონიკაშვილი, ს. ახვლედიანი, ელ. მამაცაშვილი, ს. წერეთელი.

1925 წ. დასტამბული. ხელნაწერი. 3 გვ.

126. ხელოვნების მუშაკთა საშუამდგომლო ბიუროს მიერ გაცემული საგზური ქართული დრამის კოლექტივისადმი. საქართველოს მამულებით სპექტაკლის „□□□□□□ □□□□“ დადგმის შესახებ.

1929 წ. 14 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: საქმის მწარმოებელი ბროდსკაია და პატარაია.

1 გვ.

127. ვასილ ბალანჩივაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა მისი ძმის მელიტონ ბალანჩივაძის 50 წლის იუბილეზე.

1934 წ. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

128. ალექსანდრე ნუნუნავას დახასიათება ვასილ ბალანჩივაძის შესახებ.

პირი: კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, შალვა დადიანი, ვასო აბაშიძე, ეფემია მესხი, ნატო გაბუნია და სხვა.

1938 წ. 23 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

129. შალვა დადიანის დახასიათება ვასილ ბალანჩივაძის შესახებ.

1938 წ. 23 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

130. აკაკი ხორავას დახასიათება ვასილ ბალანჩივაძის შესახებ.

1938 წ. 24 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

131. ა. ჭავჭავაძის (ვ. ბალანჩივაძის დის შვილი) ლექსი მიძღვნილი ვასილ ბალანჩივაძისადმი, დაბადებიდან 83 წლისთავის გამო.

1951 წ. 12 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

132. ბათუმის სცენისმოყვარეთა დასის მისალოცი სიტყვა ვასილ ბალანჩივაძისადმი, დაბადებიდან 50 წლის და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

პირი: რეჟისორი – ს. წერეთელი, თანაშემწე – მ. აბდუშელი.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

133. გრიგოლ ბუხნიკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ვასილ ბალანჩივაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 4 გვ.

134. ამხანაგების ჯგუფის (გვარები არ არის მითითებული) მიერ წარმოთქმული სიტყვა ვასილ ბალანჩივაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.

135. ვასილ ბალანჩივაძის მილოცვა ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. მელანი. ფანქარი. ავტოგრაფი. 2 გვ.

136. ვასილ ბალანჩივაძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.

137. მოკლე ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ჩანაწერები ვასილ ბალანჩივაძის შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.

138. უცნობი ავტორის ლექსი მიძღვნილი ვასილ ბალანჩივაძისადმი. ხელმოწერა გაურკვეველია.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.